თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2554530

ნომერი: AR1396060

თარიღი : 13.04.2016

გაცემის თარიღი : 20.04.2016

გაცნობის თარიღი : 20.04.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მურადინ ფრიდონი , N 27 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან მახარაძე პ/ნ 01010008495
- თბილისი ს. დიღომი მურადინ-ფრიდონის ქ. N 27 ბ. 65

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1396060 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ინფორმაციას ქ. თბილისში, მურადინ ფრიდონის ქ. #27-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ #01.72.14.035.580) მშენებლობასთან დაკავშირებით და ითხოვთ წარმოების შემთხვევაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2011 წლის 17 აგვისტოს #1229 რეგისტრაციით ქ. თბილისში, სოფელ დიღომში არსებულ მიწის ნაკვეთისათვის (ს/კ #01.72.14.035.552) გაიცა მიწის ნაკვეთოს სამშენებლოდ გამოყენების პირობები, დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის.

”ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის” 2011 წლის 15 სექტემბრის #35 სხდომის დასკვნის და ქ. თბილისის მერის 2011 წლის 20 სექტემბრის #2161 განკარგულების საფუძველზე ქ. თბილისში, სოფელ დიღომში არსებულ მიწის ნაკვეთისათვის (ს/კ #01.72.14.035.552მოხდა ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა და განაშენიანების ინტენსივობის კ-2 კოეფიციენტი განისაზღვრა 1.4-ით. (სამსახურის წერილი #12/114688-13 30.09.2011წ.)

2011 წლის 30 ნოემბრის #01/3656 ბრძანებით და #ნ/3829-1 სანებართვო მოწმობით ქ. თბილისში, ზემოაღნიშნულ მისამართზე, იბა „დიღმის სახლი“–ს კუთვნილ მიწის (ს/კ #01.72.14.035.552) შეთანხმდა დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

2012 წლის 18 იანვრის #252 ბრძანებით შევიდა ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 17 აგვისტოს #1229 რეგისტრაციით გაცემულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში.

”ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის” 2012 წლის 22 თებერვლის #7 სხდომის დასკვნის და ქ. თბილისის მერის 2012 წლის 01 მარტის #444 განკარგულების საფუძველზე #01.72.14.035.580 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთისათვის განაშენიანების ინტენსივობის კ-2 კოეფიციენტი განისაზღვრა 1.5-ით. (სამსახურის გადაწყვეტილება #68492 05.03.2012წ.)

2012 წლის 15 მარტს #01/625 ბრძანებით და #ნ/635-1 სანებართვო მოწმობით ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, იბა „დიღმის სახლი“–ს კუთვნილ მიწის (ს/კ #01.72.14.035.580), მოხდა დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა. 2014 წლის 05 თებერვლის #1110127 ბრძანებით შევიდა ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 15 მარტის #01/625 ბრძანებაში, კერძოდ მოხდა მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელება.

2014 წლის 25 თებერვლის #1137168 ბრძანებით ქ. თბილისში, სოფელი დიღომი, ნაკვეთი 035/580-ის მიმდებარედ, შეთანხმდა საცხოვრებელი კორპუსის გაზმომარაგებისათვის ხაზოვანი ნაგებობის (გაზსადენის) მოწყობის პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

2014 წლის 24 სექტემბრის #1470250 ბრძანებით ქ. თბილისში, სოფელი დიღომი, ი.ბ.ა. "დიღმის სახლი"–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ #01.72.14.035.580) შეთანხმდა მრავალბიანიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

2014 წლის 30 ოქტომბრის #1565127 ბრძანებით ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, ი.ბ.ა. "დიღმის სახლი"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ #01.72.14.035.580), კვლავ მოხდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა. 14.05.2015წ. #1882659 და 06.04.2016წ. #2518548 ბრძანებებით შევიდა ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 30.10.2014წ. #1565127 ბრძანებაში, კერძოდ მოხდა მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელება.

2016 წლის 29 თებერვლის #2457619 გადაწყვეტილებით სამსახურმა ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებლად მიიჩნია #AR1374885 განცხადებაზე წარმოდგენილი ესკიზის მიხედვით მიწის ნაკვეთების, მდებარე ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელი დიღომში (ს/კ #01.72.14.035.740 და ს/კ #01.72.14.035.580) საზღვრების გეგმის კორექტირება.

ამასთან გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, მურადინ ფრიდონის ქ. #27-ში (თქვენს მიერ რუკაზე მონიშნულ ტერიტორიაზე) სამსახურში ამ ეტაპზე ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და წარმოების დაწყებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

დამატებით გაცნობებთ, რომ სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური 2012 წლიდან დოკუმენტბრუნვას აწარმოებს ელექტრონული სახით. სამსახურის მიერ 2012-2016 წლების ინფორმაცია გამოტანილია ვებ–გვერდზე (www.tas.ge) და არის საჯარო. ნებისმიერი დოკუმენტი შეგიძლიათ იხილოთ ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ობიექტების ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული ობიექტის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge